



ონის მუნიციპალიტეტის მსუბუქი მკანველობის კლასიფიკაციის ღიაგნოსტიკური კვლევა





ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union



Research

ონის მუნიციპალიტეტის



**მსუბუქი მკენვედობის
კდასგეჩის**

ღიბნოსგიკუჩი კვღეკე



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union



Research

ონის მუნიციპალიტეტის მსუბუქი მრეწველობის კლასტერის დიაგნოსტიკური კვლევა განხორციელდა ევროკავშირის ინიციატივის – „მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებენ ონის მუნიციპალიტეტის მერია და პი-ემ-სი კვლევითი ცენტრი.

აღნიშნული დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „პი-ემ-სი კვლევითი ცენტრი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

1. შესავალი	4
2. მეთოდოლოგია	5
3. მსუბუქი მრეწველობის სექტორი	6
3.1. კლასტერის განსაზღვრა	6
3.2. მსუბუქი მრეწველობის კლასტერის მიმოხილვა	6
4. მსუბუქი მრეწველობის სექტორის ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	8
4.1. ბრუნვა	8
4.2. დასაქმება	9
4.3. სექტორის ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	9
5. წარმოების პროცესი	11
5.1. ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის საწარმოები	11
5.2. ხალხური რეწვის საწარმოები	13
5.3. ტექსტილის ნაწარმი	14
5.4. პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობები.....	14
6. ბიზნეს ოპერაციების და კლასტერის ანალიზი	16
6.1. მართვა და სამუშაო ძალა.....	16
6.2. საწარმოო სათავსოები და ტექნოლოგიები.....	16
6.3. ინოვაციები.....	18
6.4. გაყიდვები და მარკეტინგი	19
6.5. ბიზნეს რესურსები.....	21
6.6. SWOT ანალიზი	22
7. თანამშრომლობა მსუბუქი მრეწველობის კლასტერში	25
7.1. კონკურენცია	25
7.2. ძირითად კომპანიებს შორის თანამშრომლობა.....	25
7.3. დამხმარე ინსტიტუტებს და ძირითად კომპანიებს შორის თანამშრომლობა	26
7.4. კოოპერაციის მატრიცა	28
7.5. კლასტერის რუკა.....	30
8. ბარიერების და შესაძლებლობების ანალიზი	31
8.1. გამონწვევები	31
8.2. კლასტერში ერთობლივი ქმედებების და თანამშრომლობის პოტენციალი.....	32
8.3. კლასტერის ხედვა	33
8.4. კლასტერის მიზნები	33

1 შესავალი

ონის მუნიციპალიტეტის მსუბუქი მრეწველობის სექტორის კლასტერის დიაგნოსტიკური კვლევა განხორციელდა პროექტის „ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კლასტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის გზით“ ფარგლებში.

შესაბამისი კლასტერების გამოვლენის მიზნით, პროექტის გუნდმა მოახდინა ერთგვაროვან და მომიჯნავე სექტორებში მოქმედი საწარმოების გამოვლენა. საწარმოების შესაბამისი დაჯგუფების შედეგად, დიაგნოსტიკური კვლევებისათვის შეირჩა 4 სექტორი: პირველადი და გადამუშავებული კვების პროდუქტები, მსუბუქი მრეწველობა, ტურიზმი და მშენებლობა.

მსუბუქი მრეწველობის სექტორის დიაგნოსტიკური კვლევა წარმოგვიდგენს დარგის კომპანიების ბიზნეს ოპერაციების მიმოხილვას, ბიზნეს კავშირებს კლასტერის წევრ კომპანიებსა და პარტნიორ ინსტიტუციებს შორის, კლასტერის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებს, მისი განვითარების ხედვას და შესაბამის პრიორიტეტებს.

2 მეთოდოლოგია

დიაგნოსტიკური კვლევების ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგია ეყრდნობა კვლევის შემდეგი მეთოდების გამოყენებას: სამაგიდე კვლევა, სიღრმისეული ინტერვიუების და ფოკუს ჯგუფის დისკუსიების ჩატარებას.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები კლასტერის წევრ ძირითად კომპანიებთან, დამხმარე ინსტიტუტებთან და კლასტერის პროდუქტის და მომსახურების შემსყიდველ საოჯახო სასტუმროსთან. საბოლოო ჯამში ჩატარდა 25 ინტერვიუ და 1 ფოკუს ჯგუფი. ჩატარებული ინტერვიუების განაწილება მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

ცხრილი 1: ჩატარებული ინტერვიუების განაწილება ჩართული მხარეების მიხედვით

ძირითადი კომპანიები და დამხმარე ინსტიტუტები	ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა
ძირითადი კომპანიები	15
ხე-ტყის ნედლეულის მიმწოდებლები	2
საოჯახო სასტუმრო	1
საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები	1
საგანმანათლებლო დაწესებულება	1
ფინანსური ინსტიტუტი	1
სამთავრობო სექტორი	1
არასამთავრობო სექტორი	3
სულ	25

3 მსუბუქი მრეწველობის საქობი

3.1. კლასტერის განსაზღვრა

ონის მუნიციპალიტეტის მსუბუქი მრეწველობის კლასტერი შედგება ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის წარმოების, ტექსტილის, პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების, სამშენებლო მასალების და ხალხური რეწვის მწარმოებლებისაგან.

ონის მუნიციპალიტეტის მსუბუქი მრეწველობის კლასტერის საწარმოების განაწილება საქმიანობის მიხედვით მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 2: ონის მუნიციპალიტეტის მსუბუქი მრეწველობის სექტორის კომპანიების განაწილება საქმიანობების მიხედვით

საქმიანობა	კომპანიათა რაოდენობა
ავეჯის წარმოება	2
ხის საამქრო	6
პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება	3
ტექსტილის წარმოება	4
სამშენებლო მასალების წარმოება	4
მინანქრის სახელოსნო	2
ხალხური რეწვის საწარმო	2
სულ	23

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს რეგისტრი და ონის მუნიციპალიტეტის მერიის საწარმოების სია

3.2. მსუბუქი მრეწველობის კლასტერის მიმოხილვა

მსუბუქ მრეწველობას ონის მუნიციპალიტეტში მდიდარი ისტორია აქვს. განსაკუთრებით გამოსარჩევია ხის ნაკეთობების წარმოება, რომლის განვითარებაც განაპირობა რაჭის რეგიონის ხე-ტყის სანედლეულო რესურსებმა, ადგილობრივი ხელოსნების ოსტატობამ და რეგიონში ტრადიციული ხის სახლების სიმრავლემ. ისტორიულად, ხის დამუშავების მაღალი ოსტატობით საქართველოში გამოირჩეოდნენ ლაზები, რაჭველები, სვანები, ფშავ-ხევსურები და იმერლები. შესაბამისად, ქვეყანაში და მის რეგიონებში დაგროვდა შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება სამასალე ხის შერჩევის და მისი გადამამუშავების კუთხით. ხელოსნები ყურადღებას აქცევდნენ ხის ანატომიას, მერქანს, ასაკს და ხის თვისებებს. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის რაჭაში ავეჯის დამზადების მნიშვნელოვანი ისტორიული ტრადიციაა შემორჩენილი. აღსანიშნავია, რომ ავეჯის ხელოსნები აღნიშნული ხელობით უმთავრესად ზამთარში იყვნენ დაკავებული - სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიდან თავისუფალ დროს. შესაბამისად, ეს პროფესია სოფლის მეურნეობის დამატებითი, დამხმარე დარგის დანიშნულებას ასრულებდა. მეავჯეები იმავდროულად ხის კარგი მცოდნეები იყვნენ და ხის მოვლა-შერჩევაზე ზრუნავდნენ. აღნიშნული დარგის განვითარების ნათელი დემონსტრირებაა რაჭული ოდა-სახლები, ღია აივნებით და შესაბამისი ჩუქურთმებით, რომლებსაც ზემო და ქვემო რაჭის მუნიციპალიტეტებში და სოფლებში ვხვდებით.

მიუხედავად იმისა, რომ წლების გასვლასთან ერთად რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში დამამუშავებელი მრეწველობის სექტორის ბრუნვა იზრდებოდა, მისი მაჩვენებლები მაინც საგრძნობლად ჩამორჩებოდა საქართველოს სხვა რეგიონებს. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის დამამუშავებელი მრეწველობის სექტორის ხვედრითი წილი საქართველოში ამ სექტორის მთლიან ბრუნვაში 2017-2020 წლებში 0.17%-დან 0.24%-მდე მერყეობდა, რაც ყველაზე დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენდა სხვა რეგიონებთან შედარებით.

მსგავსი შედეგი გამოიკვეთა დამატებული ღირებულების მონაცემებზე დაკვირვებით. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს, 2019-თან შედარებით, დამატებული ღირებულების მოცულობა 69%-ით გაიზარდა, მისი საერთო მოცულობის მხოლოდ 0.44% მოდიოდა მოცემულ რეგიონზე.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2020 წელს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა 2019 წელთან შედარებით შემცირდა, რაც COVID-19 პანდემიის დაწყებითა და ტურიზმის შეფერხებით შეიძლება აიხსნას. მიუხედავად ამისა, 2017-2020 წლებში რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა ხვედრითი წილი საქართველოში სტაბილურად იზრდებოდა.

ონის მუნიციპალიტეტის მსუბუქი მრეწველობის კლასტერის საწარმოების უმრავლესობა ქალაქ ონშია განლაგებული. საწარმოები ასევე მდებარეობს შემდეგ სოფლებში: ბუდალი, ღარი, წმენდაური, გლოლა, ჭინჭისი.

4.2. დასაქმება

ინტერვიუების დროს, გამოკითხულთა უმრავლესობამ³ გააზიარა დეტალები დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ. გამოკითხულ საწარმოებში თანამშრომლების მინიმალური რაოდენობა შეადგენს 1 ადამიანს, ხოლო მაქსიმალური - 25-ს.

დასაქმებულთა შესახებ მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში.

ცხრილი 4: კომპანიათა დასაქმება


საწარმოს ზომა	გამოკითხულ საწარმოთა რაოდენობა	დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	სულ
მცირე	16	4.75	109 ⁴

4.3. სექტორის ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

ინტერვიუების მსვლელობის დროს, სამიზნე საწარმოებს ჰქონდათ შესაძლებლობა ესაუბრათ მსუბუქი მრეწველობის სექტორის ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორების დინამიკის შესახებ ბოლო 3 წლის განმავლობაში. რესპონდენტებმა თითოეული ინდიკატორი შეასაბამეს შემდეგ პასუხთან: „მცირდებოდა“, „იზრდებოდა“ ან „არ შეცვლილა“.

დიაგნოსტიკური კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, გამოვლინდა ბოლო 3 წლის განმავლობაში ძირითადი საწარმოო ინდიკატორების ცვლილების შემდეგი დინამიკა:

გრაფიკი 1. ინდიკატორების დინამიკა გამოკითხულ საწარმოთა შორის



³ გამოკითხულთაგან ერთს არ გაუმჯლავნებია ინფორმაცია დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ.

⁴ სულ დასაქმებულთა რაოდენობის მიახლოებული მაჩვენებელი გამოთვლილია კომპანიათა რაოდენობის გამრავლებით საშუალო დასაქმებულთა რაოდენობაზე.

გამოკითხული სამრეწველო საწარმოებისთვის ბოლო 3 წლის განმავლობაში მთავარი ინდიკატორების უმეტესობა უცვლელი დარჩა.

როგორც გრაფიკზე ჩანს, კომპანიების უდიდესი ნაწილისთვის საწარმოო სიმძლავრეები და დასაქმებულთა რაოდენობა ბოლო სამ წელიწადში არ შეცვლილა. ასევე აღსანიშნავია, რომ მენარმეების უმრავლესობას ბოლო სამ წელიწადში თავიანთი პროდუქტის დივერსიფიკაცია არ განუხორციელებიათ.

გამოკითხულ კომპანიათა თითქმის ნახევარი აღნიშნავს, რომ მოცემულ პერიოდში გაზრდილია გაყიდვები და მოგება. თუმცა, საწარმოთა მესამედისთვის გაყიდვებისა და მოგების, ისევე როგორც მომხმარებელთა რაოდენობის რიცხვი შემცირდა.

მენარმეთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ბოლო სამ წელიწადში ფასები გაიზარდა.

5 ნარმოების პროცესი

5.1. ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის საწარმოები

ნარმოებელი პროდუქცია

აღნიშნული ქვე-სექტორის საწარმოები აწარმოებენ სახლის ავეჯს (სკამები, საწოლები, სამზარეულოს კარადები), ოდის აივნების ჩუქურთმებს, ხის სხვადასხვა ნაკეთობებს, შიდა კიბეებს, ხის კარ-ფანჯარას, იატაკის და ჭერის მასალას, საფარდებს. ერთი საწარმო და-კავებულია ხის კოტეჯების მშენებლობით, ხოლო რამდენიმე გეგმავს აღნიშნული მიმართულების ათვისებას. ხე-ტყის სახერხები დაკავებული არიან ხის პირველადი დამუშავებით და აწვდიან ნედლეულს ავეჯის საწარმოებს და სხვა შემსყიდველებს.

ნარმოების პროცესი

აღსანიშნავია, რომ ხე-ტყის გადამამუშავებელი სექტორის ღირებულებითი ჯაჭვის უმთავრესი ოპერაციები უმრავლეს შემთხვევაში იწყება და სრულდება ონის მუნიციპალიტეტში, რასაც განაპირობებს მუნიციპალიტეტის მდიდარი და ხარისხიანი ნედლეულის ბაზა და ადგილზე გადამამუშავებელი საწარმოების არსებობა.


ხის ნაკეთობების მწარმოებელი მეწარმეების საწარმოო პროცესი იწყება სახერხებში მორების დახერხვით, გრძელდება მიღებული მასალის საბოლოო პროდუქტის მიხედვით დამუშავებით და სრულდება შესაბამისი პროდუქციის წარმოებით. ავეჯის შემთხვევაში მეწარმეები იღებენ ზომებს დამკვეთთან, ადგენენ საჭირო მასალის რაოდენობას, აკეთებენ კალკულაციას, აძლევენ შეკვეთას სახერხში, იღებენ მასალას და იწყებენ დამუშავებას, რაც მოიცავს სხვადასხვა დეტალების დამზადებას, ზომებზე დახერხვას, გაშალაშინებას, შენებებას, საბოლოო პროდუქტის ადგილზე მიტანას და დამონტაჟებას. ერთ-ერთმა მეწარმემ აღწერა ხის კარების დამზადების პროცესი, რომელიც მოიცავს მასალის შერჩევას, ზომებზე დაჭრას, ჩარჩოს დამზადებას, ბაზოს - სქელი ნაწილის დამზადებას, ჩონჩხის აწყობას, კარების გულების დამზადებას, შენებებას, „ანჯამების“ და „საკეტის“ ჩამონტაჟებას.

რაც შეეხება ხის სახერხებს, საწარმოო პროცესი მდგომარეობს მასალის შექცენაში, სატვირთო ავტომანქანებით სახერხში ტრანსპორტირებაში, დახერხვაში და საბოლოო პროდუქტის (ფიცრის, კოჭის და ა.შ.) დამზადებაში.

ხე-ტყის ნედლეულის მიწოდების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს გარემოს დაცვის დასოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნული სატყეოს ააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს ხე-ტყის მოჭრის, დასაწყობების და რეალიზაციის პროცესს. შესაბამისად, მის მიერ პროცესის შეუფერხებლად და უნარიანად წარმართვაზე დამოკიდებული ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის სექტორის ნედლეულზე ხელმისაწვდომობა.

ონის მუნიციპალიტეტში ავეჯის წარმოების პროცესში განხორციელებული აქტივობები გამო-სახულია სქემაზე:

სქემა 1. ავეჯის წარმოების პროცესი ონის მუნიციპალიტეტში



გამოყენებული ნედლეული

ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის საწარმოების მწარმოებლების მიერ გამოყენებული საწარმოო ნედლეული მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 5: ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის საწარმოების მიერ გამოყენებული ნედლეული

ძირითადი ნედლეული	სხვა ნედლეული
<p>ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-ტყე:</p> <ul style="list-style-type: none"> • ცაცხვი • წიფელი • კაკალი • ნაძვი • სოჭი • ფიჭვი • მუხა • ძველი ბელლების და სახლების მასალა - ძირითადად თელა, საიდანაც კარგი ავეჯი გამოდის 	<ul style="list-style-type: none"> • ლაქ-საღებავები • ხრახნები • წებო • ლურსმანი • ზუმფარა • კიბეების რკინა • ანჯამები • საკეტი • ზუმფარის ქაღალდი

აღსანიშნავია, რომ ძირითადი ნედლეულის 100% მოიპოვება ონის მუნიციპალიტეტში, ხოლო დამხმარე ნედლეული ძირითადად იმპორტირებულია. მაგალითისათვის, ხე-ტყის გადამამუშავებლების მიერ გამოყენებული ლაკი ან ლაზური ძირითადად თურქული ან იტალიური წარმოებისაა, ანჯამები და საკეტები თურქეთიდან არის იმპორტირებული, ხოლო კიბისათვის გამოყენებული რკინა საქართველოში იწარმოება.

5.2. ხალხური რეწვის საწარმოები

წარმოებული პროდუქცია

ონის მუნიციპალიტეტში მოქმედი ხალხური რეწვის საწარმოები აწარმოებენ თექის ნაწარმს, ბატიკის, ჯვრული ნაქარგობის, მინანქრის ნაკეთობებს, სხვადასხვა აქსესუარებს, სუვენირებსა და სამკაულებს.

წარმოების პროცესი

თექის პროდუქციის საწარმოო პროცესი იწყება ფონის შექმნით, რასაც მოყვება მასზე ესკიზის გადატანა და სხვადასხვა ხარისხის მატყლით დამუშავება. ამის შემდეგ ხდება სპეციალური ნემსით დამაგრება ესკიზის მიხედვით და ჩარჩოში ჩასმა.

ტიხრული მინანქრის შემთხვევაში პირველ ეტაპზე ხდება ვერცხლის დამუშავება ქლიბის საშუალებით, შემდეგ ფორმის მიხედვით ესკიზის შედგენა, ფერების განსაზღვრა, ესკიზის მიხედვით ტიხრების დამზადება, ტიხრების დანებება კომშის კურკების წებოს საშუალებით, ფერების დადება, ყალიბში ჩადება, ღუმელის საშუალებით გაღობა და გაერთიანება, წყლის ქვეშ აღმასის ქლიბით ზედაპირის დამუშავება, ბორმანქანის საშუალებით ზუმფარებით ზედაპირის დამუშავება და ბოლოს სამკაულად აწყობა.

გამოყენებული ნედლეული

ხალხური რეწვის საწარმოების მიერ გამოყენებული საწარმოო ნედლეული მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 6: ხალხური რეწვის საწარმოების მიერ გამოყენებული ნედლეული

ძირითადი ნედლეული	სხვა ნედლეული
<ul style="list-style-type: none"> • ცხვრის მატყლი • ნატურალური აბრეშუმი • საღებავები • ვერცხლის ყალიბები • სპილენძი • მინანქრის ფერები • ყვავილები 	<ul style="list-style-type: none"> • ფურნიტურა (ძაფები, მაქმანები, მძივები, თვლები და ა.შ.) • ხის ჩარჩოები (ონში დამზადებული) • ეპოქსიდი • კომშის კურკების წებო (ტრადიციული)

თექის ნაწარმში გამოყენებული მატყლის ძირითადი ნაწილის მიწოდება კახეთიდან ხდება, თუმცა ხორციელდება გარკვეული რაოდენობის შეღებილი მატყლის იმპორტი თურქეთიდან. აბრეშუმი იტალიურია, ხოლო ფურნიტურა თურქული. მატყლის შემთხვევაში ნედლეულს პირდაპირ მომწოდებლებს უკვეთავენ და ხორციელდება მისი ტრანსპორტირება ონში, ხოლო იმპორტული ნედლეულის შემთხვევაში მწარმოებლები თანამშრომლობენ თბილისში მდებარე სპეციალიზირებულ მაღაზიებთან, საიდანაც ან თვითონ მოაქვთ პროდუქტი, ან

მიმწოდებელი უგზავნის ონის მუნიციპალიტეტში. ადგილობრივ ნედლეულს წარმოადგენს ყვავილები, კომპის კურკების წებო და ხის ჩარჩოები. ხალხური რეწვის საწარმოებს ნედლეულის მიმწოდებლებთან სტაბილური თანამშრომლობა აქვთ და ამ მიმართულებით პრობლემები არ დაფიქსირებულა.

5.3. ტექსტილის წარმოება

წარმოებული პროდუქცია

ონის მუნიციპალიტეტში მოქმედი გამოკითხული ტექსტილის საწარმოები აწარმოებენ თეთრეულს, სტიქარს, ასევე ანახლებენ ძველ ლეიბებს, საბნებს და ბალიშებს.

ტექსტილის წარმოების პროცესი

ტექსტილის წარმოებით დაკავებული მეწარმის საწარმოო პროცესი იწყება ქსოვილის შექმნით, გრძელდება დაჭრით და სრულდება შესაბამისი პროდუქტის შეკერვით.

რაც შეეხება თეთრეულის განახლებით დაკავებულ საწარმოს, ის საწარმოო პროცესის დასაწყისში მომხმარებლისაგან იბარებს ძველ საბნებს, ლეიბებს და ბალიშებს, რის შემდეგაც იწყება მათი დაშლა და ხორციელდება სპეციალურ აპარატში დამუშავება: ხდება დაფერთხვა საფერთხ აპარატში, დაპენტვა საპენტ აპარატში და ბამბით საბნის და ლეიბის შეკერვა. ბალიში ტარდება ანტიბაქტერიულ დანადგარში, რის შემდეგაც ხდება ახალ პირებში ჩასმა.

ტექსტილის წარმოებაში გამოყენებული ნედლეული

ტექსტილის მწარმოებლების მიერ გამოყენებული საწარმოო ნედლეული მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 7: ტექსტილის საწარმოების მიერ გამოყენებული ნედლეული

ძირითადი ნედლეული	სხვა ნედლეული
<ul style="list-style-type: none"> ქსოვილები ძაფები ნემსები ლეიბის საბნის და ბალიშის პირები 	<ul style="list-style-type: none"> საკერავი მანქანის ზეთი

ტექსტილის წარმოებაში გამოყენებული ნედლეული სრულად იმპორტირებულია. ლეიბების, საბნების და ბალიშების პირები თურქული წარმოებისაა. ონის მუნიციპალიტეტის საწარმოები ნედლეულს თბილისში მდებარე სპეციალიზირებულ მაღაზიებში ყიდულობენ და სტაბილური თანამშრომლობა აქვთ ნედლეულის მიმწოდებლებთან.

5.4. პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობები

წარმოებული პროდუქცია

პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების ქვე-სექტორი კონცენტრირებულია მეტალო-პლასტ-მასის კარ-ფანჯრების წარმოებაზე და აღნიშნულ პროდუქციაზე ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოების პროცესი

საწარმოო პროცესის დასაწყისში მწარმოებლები იღებენ საწარმოო ნედლეულს და ახდენენ კლიენტის შეკვეთის მიხედვით ამომავებს. შემდეგ ხდება არსებული პროფილების და რკინის დაჭრა, პროდუქტის დამზადება და ადგილზე დამონტაჟება. გათვალისწინებულია დამონტაჟების შემდგომი მომსახურებაც.

პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოებაში გამოყენებული ნედლეული

პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების მწარმოებლების მიერ გამოყენებული საწარმოო ნედლეული მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 8. პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების საწარმოების მიერ გამოყენებული ნედლეული

ძირითადი ნედლეული	სხვა ნედლეული
<ul style="list-style-type: none">• ვინოპლასტი• მეტალოპლასტმასი• რკინა• პროფილები	<ul style="list-style-type: none">• მინა• აქსესუარები

დარგისთვის საჭირო ნედლეული ძირითადად იმპორტირებულია. ძირითადი მასალა - ვინოპლასტი სრულად თურქეთიდან შემოდის. ალტერნატივად განიხილება გერმანული ნედლეული, თუმცა, მისი სიძვირის გამო მწარმოებლები აღნიშნული ნედლეულით მასალის წარმოებას არ ახდენენ. წარმოების პროცესში გამოყენებული მინა ძირითადად ირანული წარმოების არის, ხოლო აქსესუარები - თურქული. ონის მუნიციპალიტეტში მოქმედი კომპანიები ნედლეულს ძირითადად ქუთაისში, ქობულეთში ან თბილისში მოქმედი იმპორტიორი კომპანიებისაგან იძენენ.

6 ბიზნეს ოპერაციების და კლასტიერის ანალიზი

6.1. მართვა და სამუშაო ძალა

გამოკითხული მენარმეების უმრავლესობა ინდივიდუალური მენარმის, ხოლო რამდენიმე მიკრო მენარმის სტატუსით ოპერირებს. აღნიშნულ საწარმოებს მართვის ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურა არ აქვთ. შესაბამისად, საწარმოს მართვასთან დაკავშირებულ ფუნქციებს უმრავლეს შემთხვევაში ითავსებს 1 ადამიანი - დამფუძნებელი. ერთ საწარმოს აქვს მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული მართვის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს დირექტორს, ფინანსურ დირექტორს, ბუღალტერს და სხვადასხვა სპეციალისტებს.

გამოკითხული საწარმოების უმრავლესობაში შრომის ანაზღაურება გამომუშავების პრინციპით, შესრულებული სამუშაოს მიხედვით გაიცემა. ერთ საწარმოს დანერგული აქვს თანამშრომელთა წახალისების სისტემა, რაც გამოიხატება სადღესასწაულოდ დამატებითი ანაზღაურების გაცემაში.

თანამშრომლების ტრენინგთან დაკავშირებული მხარდაჭერა საწარმოების უმრავლესობას მიღებული არ აქვს. ისინი თანამშრომლების სწავლებას საკუთარი ძალებით, სამუშაო ადგილზე უზრუნველყოფენ. რამდენიმე საწარმო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თანამშრომელთა გამოცდილი გუნდით ოპერირებს. ერთ საწარმოს გადამზადების კუთხით მიღებული აქვს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერა. აღნიშნულ საწარმოში ამჟამად პრიორიტეტია თანამშრომლების უნარების გაძლიერება მარკეტინგის, სოციალური მედიის და ფინანსების მართვის მიმართულებით. ერთ ინდივიდუალურ მენარმეს სამუშაო პრაქტიკა გავლილი აქვს თბილისში მდებარე ანალოგიურ საწარმოებში, ასევე მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის მიერ უზრუნველყოფილ უნარების განვითარების სწავლებაში. ერთი ინდივიდუალური მენარმე უზრუნველყოფს ადგილობრივი და უცხოელი ახალგაზრდების სწავლებას სამუშაო ადგილზე, თუმცა საწარმოო სივრცე არ ყოფნის და გეგმავს გაფართოებას. ერთ-ერთ საწარმოს არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტის ფარგლებში 1 წლის განმავლობაში 2 ახალგაზრდა ჰყავდა სტაჟირებაზე.

ზოგადად, ონის მუნიციპალიტეტში კვალიფიციური ან მოტივირებული კადრების მოძიება, რომლებსაც მუშაობის ან ხელობის სწავლის სურვილი აქვთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული მნიშვნელოვნად აფერხებს საწარმოების გაფართოებას, მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილების უნარებს და ახალი პროდუქციის წარმოების ათვისებას. ამასთან ერთად, თანამშრომლობა ამბროლაურის პროფესიულ კოლეჯ „ერქვანთან“ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს არ აქვთ.

6.2. საწარმოო სათავსოები და ტექნოლოგიები

ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის საწარმოები

ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის საწარმოების ნაწილს არსებული საწარმოო სათავსოების მდგომარეობა და ფართობი აკმაყოფილებს. აღნიშნული საწარმოებიდან მხოლოდ ერთმა დააფიქსირა, რომ სახერხ საწარმოში დაჭირდება კონფიგურაციის ცვლილება ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შემდეგ. საწარმოთა მეორე ნაწილის წინაშე დგას გაფართოების საჭიროება, ძირითადად არსებული მცირე ფართობის გამო. აღნიშნულ პროცესს მნიშვნელოვნად აფერხებს შესაბამისი ფინანსური სახსრების უქონლობა.

აღნიშნულ დარგში გამოკითხული საწარმოების აღჭურვილობაში ჭარბობს მოძველებული რუსული წარმოების დანადგარები, რომლებიც საჭიროებს განახლებას. ერთ-ერთ ხე-ტყის გადა-

მამუშავებელ საწარმოში თურქული წარმოების ხერხებია დამონტაჟებული. რამდენიმე საწარმოს საქართველოში დამზადებული დანადგარები აქვს, ან შექმნილი ნაწილებით თვითონ აქვს აწყობილი. აღნიშნული საწარმოებიც აღჭურვილობის განახლებას საჭიროებენ. ორ საწარმოს საწარმოო ტექნოლოგიების ნაწილი სახელმწიფო პროგრამების მხარდაჭერით აქვს შექმნილი: ერთ-ერთი საწარმო აღიჭურვა გერმანული წარმოების ტორცული ხერხით, ლენტური ხერხით და მინირესმუსით. ერთ-ერთი მენარმის განცხადებით, საწარმოში დამონტაჟებული რუსული წარმოების დანადგარები კარგ მდგომარეობაშია, თუმცა მათი სიზუსტე არ აკმაყოფილებს. საწარმოო ტექნოლოგიების განახლების მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი ფინანსური რესურსების ნაკლებობაა. ერთ-ერთი საწარმოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დანადგარების სრულად განახლებისათვის 100 000 ლარამდე ინვესტიციის განხორციელება ჭირდება.

ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის საწარმოები დანადგარების მსუბუქ დაზიანებას ადგილზე, თავიანთი ძალებით უმკლავდებიან. ერთ-ერთი საწარმოს წარმომადგენლის განცხადებით, ადგილზე შეუძლია ყველა პრობლემის მოგვარება, გარდა ელექტროობის დაზიანებისა. შესაძლებელია დანადგარების გარკვეული ნაწილების საქართველოს დიდ ქალაქებში გასაჩარხად წაღება გახდეს საჭირო. ასევე შესაძლებელია სპეციალისტების გამოძახება ქუთაისიდან და ბათუმიდან. საქართველოში დამზადებული დანადგარების მფლობელებს სერიოზული დაზიანების შემთხვევაში დანადგარი ქუთაისში - მწარმოებლებთან მიაქვთ.

საწარმოთა უმრავლესობა ახალი ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციას ინტერნეტის საშუალებით ეცნობა. ერთ-ერთი მენარმე ასევე კარგად იცნობს თბილისში მდებარე შესაბამისი მაღაზიების პროდუქციას და რეგულარულად ეცნობა მათ სიახლეებს.

ხალხური რენვის საწარმოები

ხალხური რენვის საწარმოებში, საწარმოო სათავსოები მიმდინარე ეტაპზე აკმაყოფილებს ბიზნესის მოთხოვნებს და შემდგომი ზრდის საჭიროებებს. ერთი საწარმო გაფართოებას გაყიდვების უზრუნველყოფის მიმართულებით გეგმავს - სახელოსნოს გვერდზე აშენებს ახალ შენობას, სადაც განთავსდება კაფე და ნაწარმის მაღაზია.

ერთ-ერთ საწარმოს აქვს გერმანული წარმოების თანამედროვე საკერავი მანქანები და ჩინური წარმოების ხის ლაბერის აპარატი. მეორე საწარმო იყენებს საქართველოში დამზადებულ ტიხრული მინანქრის ღუმელებს, ხოლო ლაბერული აპარატით დამზადებულ ხის დეტალებს უკვეთავს თბილისში მოქმედ საწარმოს. ასეთი აპარატის შექმნის შემთხვევაში, ხის დეტალების დამუშავება ადგილზე იქნება შესაძლებელი. მენარმეები საწარმოო ტექნოლოგიების მცირე დაზიანების გამოსწორებას ადგილზე ახერხებენ. ამ ეტაპისათვის, საწარმოო ტექნოლოგიების რაიმე მნიშვნელოვან დაზიანებას ადგილი არ ქონია. ახალი ტექნოლოგიების შესახებ სიახლეებს მენარმეები თბილისში მდებარე შესაბამისი მიმწოდებლების და ინტერნეტის საშუალებით ეცნობიან, ასევე ერთმანეთს უზიარებენ შესაბამის ინფორმაციას. საწარმოო ტექნოლოგიების სპეციალისტები საწარმოებში არ ყავთ.

ტექსტილის საწარმოები

გამოკითხული ტექსტილის საწარმოები გეგმავენ საწარმოო სათავსოების მოდერნიზაციას და გაფართოებას. ერთ-ერთი საწარმოს წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნულ პროცესს აბრკოლებს საჭირო ფინანსური რესურსების სიმწირე.

ერთ-ერთ საწარმო აღჭურვილია ახალი საკერავი მანქანებით, რომელთა დაზიანების შემთხვევაზე ჯერ არ დაფიქსირებულა. მეორე საწარმო იყენებს ჩინური წარმოების საკერავ მანქანებს, რუსული წარმოების საპენტს და საქართველოში აწყობილ ბალიშების გასაახლებელ და საბნის საკერავ მანქანებს. ამ ეტაპზე შეცვლას საჭიროებს საბნის საკერავი მანქანა, რომლის ოპერირებასაც 2 ადამიანი ჭირდება, მაშინ როდესაც ბაზარზე არსებული ახალი ჩინური აპარატები სრულად ავტომატიზირებულია. აღნიშნულ საწარმოში საწარმოო დანადგარების შეკეთებას საკუთარი ძალებით ახორციელებენ, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია თბილისში წაღება ან სპეციალისტის თბილისიდან გამოძახება. ახალ საწარმოო ტექნოლოგიებზე ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო ინტერნეტია.

პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების სანარმოები

პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების ერთი სანარმო პროდუქციაზე დაბალი მოთხოვნის გამო სხვა პროდუქტის წარმოებაზე გადასვლას გეგმავს და სანარმოო სათავსოების გაფართოება დღის წესრიგში არ დგას. მეორე სანარმო გაფართოებას დაგეგმავს ალუმინის კარ-ფანჯრების წარმოების დაწყების შემთხვევაში, რომლებზეც მზარდი მოთხოვნა ფიქსირდება.

სანარმოო ტექნოლოგიები ორივე სანარმოში თურქულია. ერთ-ერთი სანარმოს ტექნოლოგიები ახალია, მიმდინარე ეტაპზე სრულყოფილად და გამართულად მუშაობს და დაზიანების შემთხვევები არ ყოფილა. მეორე სანარმოს ტექნოლოგიები (საჭრელი ხერხი, ჰაერის კომპრესორი, შემადუღებელი, ტიხრის ფრები) შედარებით მოძველებულია, თუმცა დაზიანების შემთხვევებს სანარმოს წარმომადგენლები საკუთარი ძალებით უმკლავდებიან. ამისათვის მათ ჭირდებათ შესაბამისი ნაწილების შექმნა და შეცვლა. ამ ეტაპზე, სანარმოს უდგას საკეტების ამოსაღები დანადგარის და რკინის საჭრელის შექმნის საჭიროება.

აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია დაზიანებული დანადგარების თბილისში წაღება, ან შესაბამისი სპეციალისტის გამოძახება. ერთ-ერთი სანარმოს წარმომადგენლის ინფორმაციით, კომპანია „დიოს“ ყავს შესაბამისი ხელოსნები.

ახალი სანარმოო ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციას სანარმოების წარმომადგენლები ძირითადად ინტერნეტის საშუალებით ეცნობიან.

6.3. ინოვაციები

ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის სანარმოების უმრავლესობას ინოვაციური პროდუქტი ბოლო პერიოდში არ უწარმოებია. ერთ-ერთი სანარმოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბოლო დროს პირველად დაამზადა „მოხვეული“ კიბე, რომელიც დამკვეთს მოეწონა და ამის შემდეგ აღნიშნულ პროდუქტზე იღებს შეკვეთებს. ასევე ინოვაციურია მის მიერ დამზადებული „ქალაქური კარები“ განსხვავებული ორნამენტებით. მეორე სანარმოს ინოვაციას წარმოადგენს ხისგან და რკინისგან დამზადებული კიბე, რომელიც კურორტ შოვში დაუმონტაჟა დამკვეთს. ერთ-ერთი მენარმე გეგმავს საოჯახო ხის სკამების დამზადების დაწყებას. სანარმოების ინოვაციური უნარების გაუმჯობესება დაკავშირებულია სანარმოო ტექნოლოგიების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღებასთან, მათ განახლებასთან და ხის ხელოსნების ცოდნის და უნარების შემდგომ გაუმჯობესებასთან.

ხალხური რეწვის სანარმოების პროდუქცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინოვაციებსა და კრეატიულობაზე. ერთ-ერთი სანარმოს ინოვაციურ პროდუქტს წარმოადგენს რაჭის მინდვრის ყვავილების დამუშავების შედეგად წარმოებული სამკაულები და აქსესუარები, რომლებიც განსაკუთრებით საინტერესო პროდუქტია ტურისტებისათვის და ემიგრანტებისათვის. დარგის სხვა სანარმოს 2019 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად აქვს გაფართოებული ასორტიმენტი. თითოეული ახალი პროდუქტის შექმნაში არის კრეატიულობის და ინოვაციურობის მნიშვნელოვანი ელემენტები, რაც ასევე მოითხოვს თანამშრომლების შესაბამის უნარებს. აღნიშნული სანარმოები დარგში არსებულ ტენდენციებსა და ინოვაციებზე ინფორმაციას იღებენ ტრადიციული რეწვის ასოციაციიდან, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრიდან, უცხოელი ექსპერტებისგან, ასევე საქართველოში ჩატარებული გამოფენების და ინტერნეტის საშუალებით.

პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების სანარმოების ინოვაციები დაკავშირებულია ალუმინის კარ-ფანჯრების წარმოების დაწყებასთან, რომელზეც ბაზარზე მზარდი მოთხოვნა ფიქსირდება. ერთ-ერთი სანარმოს წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ რაჭაში მშენებარე ხის კოტეჯებში დიდი მოთხოვნაა მრგვალ და სამკუთხედ ფანჯრებზე, რომელსაც სანარმო ვერ ამზადებს შესაბამისი დანადგარის არ ქონის გამო და კარგავს კლიენტებს. დარგში არსებულ ტენდენციებსა და ინოვაციებზე სანარმოები ინფორმაციას ძირითადად ინტერნეტის საშუალებით იღებენ.

ერთ-ერთი **სამკერვალო სანარმოს** ინოვაციას წარმოადგენს საპენტ აპარატზე ბარაბნის და ელევატორის დამონტაჟება. აღნიშნული ტექნოლოგიური სიახლის შედეგად ბამბა აღარ იშლება.

6.4. გაყიდვები და მარკეტინგი

ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის სანარმოები პროდუქციის რეალიზაციას ძირითადად საცალო გაყიდვების გზით ახდენენ და აქვთ პირდაპირი კომუნიკაცია მყიდველებთან. სანარმოები აქტიურ მარკეტინგულ კამპანიებს არ აწარმოებენ, რადგან ამის საჭიროებას ვერ ხედავენ.

სექტორის სანარმოების ძირითად ბაზარს წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტი. ამავე დროს, არის შეკვეთები ამბროლაურის მუნიციპალიტეტიდან, ქუთაისიდან და თბილისიდან. ხის სახერხებს პროდუქციას ასევე უკვეთავენ ონის მუნიციპალიტეტში მომუშავე სამშენებლო ორგანიზაციები. ერთ-ერთ ხის სახერხს 2000-იან წლებში ქონდა პროდუქციის სომხეთში და თურქეთში ექსპორტის გამოცდილება, ხოლო მეორეს ამჟამად გააქვს პროდუქცია სომხეთში და ირანში და კომპანიის გაყიდვებში ექსპორტის ხვედრითი წილი დაახლოებით 80%-ია. ერთ-ერთი სანარმოს წარმომადგენლის აზრით, ადგილობრივი მაღალი ხარისხის ნედლეულით შესაძლებელია საექსპორტო კონკურენტუნარიანობის მქონე პროდუქციის, მაგალითად მაგიდების დამზადება, თუმცა ამისათვის საკმარისი გამოცდილება და უნარები არის საჭირო.

ერთ-ერთი სანარმოს ხის ნაკეთობებს ძირითადად ტურისტები ყიდულობენ. პროდუქცია ასევე იგზავნება თბილისში მდებარე სუვენირების მაღაზიებში. არის ელექტრონულად, საზღვარგარეთიდან დაკვეთის შემთხვევებიც. აღნიშნული სანარმოს პროდუქციის 70% ონის მუნიციპალიტეტში იყიდება, 20% - საქართველოს სხვა რეგიონებში, ხოლო 10% - მეზობელ ქვეყნებში ელექტრონულად მიღებული შეკვეთების გზით.

ერთ-ერთმა საოჯახო სასტუმრომ ადგილობრივ ხე-ტყის გადამამუშავებელ სანარმოს 2017 წელს შეუკვეთა კარები და კიბის ხის საფეხურები. სასტუმროს დამფუძნებლის განცხადებით, სანარმომ შეკვეთა შეთანხმებულ დროში დაამზადა, ფასი მისაღები იყო, ხოლო დამზადებული პროდუქციის ხარისხი - კარგი. მან ასევე აღნიშნა, რომ 2017 წელს ხე-ტყის ნედლეული გაცილებით იაფი იყო და ამჟამად მსგავსი პროდუქტი მნიშვნელოვნად გაძვირებული იქნება.

სექტორის კომპანიების უმრავლესობა საშუალოვადიან პერსპექტივაში ორიენტირებული იქნება ადგილობრივ (რაჭის რეგიონის) და საქართველოს სხვა რეგიონების ბაზრებზე. ადგილობრივი მოთხოვნის ზრდის მთავარი განმაპირობებელი იქნება ტურიზმის ზრდა, ინვესტიციები საკურორტო ზონებში, საოჯახო სასტუმროების მზარდი რაოდენობა და ხის კოტეჯებზე მოთხოვნის ზრდა. ერთ-ერთი სანარმოს წარმომადგენლის განცხადებით, საქართველოს სხვა რეგიონებში გაყიდვების დაწყებისათვის ჭირდება სანარმოს გაფართოება, მუშახელის დამატება და სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შექმნა. რამდენიმე სანარმო ორიენტირებული იქნება ასევე მეზობელ ქვეყნებზე, ხოლო ერთ-ერთი სანარმოს წარმომადგენლის შეფასებით, დანიის სამეფო აკადემიის პროექტის ფარგლებში განხორციელებული გაცვლითი პროფესიული სწავლების პროგრამები და სხვა აქტივობები შესაძლოა გახდეს ევროკავშირში ხის ნაკეთობების ექსპორტის მასტიმულირებელი ფაქტორი.

მიმდინარე ეტაპზე დარგის პროდუქციაზე შეკვეთების რაოდენობა მზარდია. შესაბამისად, დარგის სამომავლო ზრდასთან დაკავშირებით ყველა სანარმოს პოზიტიური მოლოდინი აქვს. აღნიშნულს განაპირობებს ვიზიტორების ზრდა, რაჭაში სახლების მფლობელების მხრიდან გაზრდილი შეკვეთები, საინვესტიციო პროექტების ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების მასშტაბების ზრდა და ხის კოტეჯებზე მოთხოვნის ზრდა. ერთ-ერთი მწარმის აზრით, ხის კოტეჯებზე გაზრდილ მოთხოვნას ნაწილობრივ განაპირობებს ის ფაქტი, რომ რაჭა სეისმურად აქტიური ზონაა და ასეთი ნაგებობები შედარებით უსაფრთხოდ მიიჩნევა. თუმცა, აღნიშნული პოზიტიური მოლოდინების რეალიზაციისათვის კრიტიკული იქნება ხე-ტყის ნედლე-

ულზე ხელმისაწვდომობის პრობლემის დარეგულირება და კვალიფიციურ მუშახელზე ხელმისაწვდომობის ზრდა. ნედლეულზე ხელმისაწვდომობის შეფერხების გამო, რამდენიმე საწარმო მიმდინარე მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. ახალი რეგულაციის მიხედვით, ბე-ტყის ნედლეულის აუქციონის წესით გაყიდვამ გამოიწვია ნედლეულის გაძვირება და მისი დეფიციტი.

ხალხური რენვის საწარმოები მარკეტინგის და გაყიდვების სხვადასხვა არხებით სარგებლობენ. ისინი პროდუქციის რეალიზაციას ახდენენ როგორც საცალო, ასევე ელექტრონული კომერციის და ადგილობრივი გამოფენების და ფესტივალების გზით. ელექტრონული არხებით საწარმოები შეკვეთებს თავიანთი facebook გვერდების საშუალებით იღებენ, ხოლო დამზადებულ პროდუქტს მომხმარებლებს საქართველოს ფოსტის დახმარებით უგზავნიან. საწარმოებს მომხმარებლებთან პირდაპირი კომუნიკაცია აქვთ, ასევე იყენებენ facebook-ის გვერდებს.

საწარმოები პროდუქციის რეალიზაციას ახდენენ როგორც რაჭის რეგიონში, ასევე საქართველოს სხვა რეგიონებში. ერთ-ერთი საწარმო პროდუქციის დაახლოებით 30%-ის რეალიზაციას ახდენს რაჭაში, 65%-ის - საქართველოს მასშტაბით, ხოლო 5% მოდის საზღვარგარეთ გაგზავნილ პროდუქციაზე. მეორე საწარმო პროდუქციის დაახლოებით 60%-ის რეალიზაციას ახდენს რაჭაში, 30%-ს ყიდის საქართველოს სხვა რეგიონებში, ხოლო 10% მოდის საზღვარგარეთ გაგზავნილ ნაწარმზე. აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთიდან შეკვეთები ძირითადად facebook-ის გვერდების საშუალებით შემოდის და დამკვეთები უმეტესად საქართველოს ემიგრანტი მოქალაქეები არიან. საწარმოები შეკვეთებს იღებენ იტალიიდან, საბერძნეთიდან, გერმანიიდან, აშშ-დან, კანადიდან, ხოლო პროდუქტის გაგზავნა ხორციელდება საქართველოს ფოსტის საშუალებით.

სამომავლოდ ხალხური რენვის საწარმოები ორიენტირებული იქნებიან როგორც ადგილობრივ და საქართველოს, ასევე მეზობელი ქვეყნების, ევროკავშირის და სხვა ქვეყნების ბაზრებზე. ერთ-ერთი საწარმოს წარმომადგენლის აზრით, შესაძლებელია ექსპორტის 3-ჯერ ან 4-ჯერ გაზრდა, თუმცა ამისათვის საჭიროა ელექტრონული კომერციის პლატფორმა ETSY-ზე საწარმოს გვერდის აქტივაცია, 1 თანამშრომლის მიმაგრება ელექტრონული კომერციის აქტივობებზე და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის მხარდაჭერის კომპონენტით სარგებლობა.

მარკეტინგის და გაყიდვების გასაუმჯობესებლად ერთ-ერთ საწარმოს ჭირდება facebook-ის გვერდის დახვეწა, ლოგოს დამზადება, იარლიკების და პროდუქციის შეფუთვის გაუმჯობესება და ამ მიმართულებით შესაბამისი უნარების განვითარება.

სექტორთან დაკავშირებით საწარმოებს პოზიტიური მოლოდინი აქვთ. მათი აზრით მოთხოვნა გაიზრდება და ამის მთავარი განმაპირობებელი იქნება ტურისტების გაზრდილი რაოდენობა.

ერთ-ერთი საწარმო მარკეტინგთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ კონსულტაციებს იღებს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ტრენინგების, ასევე შესაბამისი ბიზნეს ასოციაციების (მცირე მენარმეების განვითარების ასოციაცია; სოციალური საწარმოების ალიანსი) მიერ უზრუნველყოფილი კონსულტაციების საშუალებით. ეს ორგანიზაციები უზრუნველყოფენ მსგავსი საწარმოების წარმომადგენლების მომზადებას გამოფენებისათვის და მომხმარებლებთან კომუნიკაციებისათვის.

ტექსტილის საწარმოები თავიანთი პროდუქციის რეალიზაციას საცალო არხებით ახორციელებენ. ერთ-ერთი საწარმოს რეალიზაცია სრულად ონის მუნიციპალიტეტის ბაზარზე არის დამოკიდებული, ხოლო მეორე საწარმო პროდუქციის 80%-ის რეალიზაციას რაჭის რეგიონში ახდენს, ხოლო დანარჩენი 20%-ის - საქართველოს სხვა რეგიონებში.

მარკეტინგის მიზნით, ერთ-ერთი საწარმო განცხადებებს ათავსებს ონელების facebook-ის გვერდზე, ხოლო მეორე საწარმო საკუთარ facebook-ის გვერდს იყენებს რეკლამისათვის და მომხმარებელთან კომუნიკაციისათვის.

სექტორის პროდუქციის სამომავლო მოთხოვნაზე საწარმოებს პოზიტიური მოლოდინი აქვთ, რომელიც ნაწილობრივ უკავშირდება ონის მუნიციპალიტეტში ტურისტების გაზრდილ რაოდენობას.

პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების საწარმოები ძირითადად ონის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების ბაზარს ემსახურებიან, გაყიდვებს საცალო ვაჭრობის არხებით ახორციელებენ და აქვთ პირდაპირი კომუნიკაცია მყიდველებთან. ერთ-ერთ საწარმოს ასევე ქონდა მცირე შეკვეთები რუსთავიდან და თბილისიდან. საწარმოები მომავალშიც ადგილობრივ ბაზარზე იქნებიან ორიენტირებული. ერთ-ერთი საწარმოს წარმომადგენლის განცხადებით, მათ არ ყავთ შესაბამისი სატრანსპორტო საშუალება დამზადებული პროდუქტის შორ მანძილზე ტრანსპორტირებისათვის.

გაყიდვებთან დაკავშირებულ გამოწვევებში ერთ-ერთი საწარმო ასახელებს მოთხოვნის ნაკლებობას, ხოლო მეორე შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების არ ქონას და შორ მანძილებზე პროდუქტის ტრანსპორტირების სირთულეს.

ერთ-ერთი საწარმო პროდუქციის მარკეტინგს facebook-ის გვერდის საშუალებით ახორციელებს.

სექტორის სამომავლო ზრდასთან დაკავშირებით ერთ-ერთ საწარმოს ოპტიმისტური მოლოდინი არ აქვს, ხოლო მეორე საწარმოს აქვს შეკვეთების ზრდის მოლოდინი, განსაკუთრებით საოჯახო სასტუმროების და უწერასა და შოვში ახალი ხის კოტეჯების მშენებლობის რაოდენობის ზრდის გამო.

6.5. ბიზნეს რესურსები

დაფინანსების წყაროები

2016-2021 წლებში, ონის მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, მსუბუქი მრეწველობის სექტორში, დაფინანსება მიიღო 22-მა მეწარმემ, ჯამში 126,422 ლარის ოდენობით. მოცემული თანხის უმეტესი ნაწილი - მთლიანი დაფინანსებული თანხის 56.3%-ს (71,191 ლარი) მეწარმეებს გადაეცათ 2016 წელს. დაფინანსება უმეტესად გადაეცათ ხის საამქროებსა და ხეზე მომუშავე კომპანიებს (6), ავეჯის საწარმოებსა (3) და სამკერვალოებს (5). მოცემული სახელმწიფო პროგრამის შედეგად, ონის მუნიციპალიტეტში შეიქმნა 55 ახალი სამუშაო ადგილი.

ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობის თავდაპირველი დაფინანსება დაკავშირებული იყო დამფუძნებლების და ოჯახის წევრების დანაზოგებთან. საწარმოს ამოქმედების შემდგომ ეტაპებზე, რამდენიმე მათგანს მიღებული აქვს სახელმწიფო პროგრამების გრანტები ან დონორი ორგანიზაციების დაფინანსება, ძირითადად საწარმოო დანადგარების და იარაღების შეძენის მიზნით.

ხალხური რენჯის საწარმოების თავდაპირველ დაფინანსებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა. ერთ-ერთი საწარმო სრულად მათი დაფინანსებით და მხარდაჭერით შეიქმნა, ხოლო მეორე საწარმოს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაეწია ოპერირების საწყის სტადიაზე.

ერთ-ერთ ტექსტილის საწარმოს თავდაპირველი დაფინანსება მიღებული აქვს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო გრანტების კომპონენტის ფარგლებში, ხოლო მეორემ საქმიანობა დამფუძნებლების დანაზოგებით დაიწყო, თუმცა შემდგომ ეტაპზე მიიღო სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო გრანტი და შეიძინა ბალიშების გასაახლებელი აპარატი.

პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების საწარმოები დამფუძნებლების დანაზოგებით დაფინანსდა. შემდგომ ეტაპზე, ერთ-ერთ საწარმოს მიღებული აქვს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერა დანადგარის შესაძენად.

სამომავლო საინვესტიციო გეგმები

ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის საწარმოების უმრავლესობა მოგების ინვესტირებას საწარმოების გაფართოებაში გეგმავს. რამდენიმე საწარმო აქვს ტექნოლოგიურ გადაიარაღებაში და მოდერნიზაციაში ინვესტირების გეგმები, ხოლო ორი საწარმო ძირითად საქმიანობასთან ერთად სხვა სექტორებში ოპერირების დაწყებას გეგმავს.

მიმდინარე ეტაპზე **ხალხური რენვის** ერთ-ერთი საწარმო გეგმავს ასორტიმენტის გაფართოებას, შესაბამისი ტექნოლოგიების შექმნას და ხის დამუშავების დაწყებას, ხოლო მეორე მაღაზიის გახსნას და გაყიდვების უფრო აქტიური კამპანიის წარმოებას.

ტექსტილის საწარმოები გეგმავენ საწარმოების გაფართოებას და ახალი ტექნოლოგიების შექმნას. ტექნოლოგიების განახლების მიმართულებით ერთ-ერთი საწარმო გეგმები უკავშირდება საქარგავი პროგრამის და დამატებითი მანქანების („რასშიროვკის“ და „დაკნოპკვის“) შექმნას, ხოლო მეორე გეგმავს მტვრის დამჭერი ფილტრის ინსტალაციას, არსებული სათავსოების მოდერნიზაციას და ახალი დანადგარების შექმნას. ორივე საწარმო ალნიშნული ინვესტიციების განსახორციელებლად ესაჭიროება სახელმწიფო ან დონორი ორგანიზაციების პროგრამული მხარდაჭერა.

პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების ერთი საწარმო გეგმავს საწარმოს გაფართოებაში ინვესტირებას და ალუმინის კარ-ფანჯრების წარმოების დაწყებას, ხოლო მეორე საწარმოს გაფართოების გეგმები არ აქვს.

6.6. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი რესურსები • ხე-ტყის დამუშავების და ხის პროდუქციის წარმოების ისტორიული ტრადიცია • შიდა და საერთაშორისო ვიზიტორების მზარდი რაოდენობა • მზარდი ადგილობრივი მოთხოვნა ხე-ტყის, მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების და ხალხური რენვის პროდუქციაზე • მზარდი მოთხოვნა ხის კოტეჯებზე და შესაბამის ალტურვილობაზე (ავეჯი, კარ-ფანჯარა და სხვა) • რიგ საწარმოებში ბიზნესის ძირითადი პარამეტრების მზარდი დინამიკა • ბიზნესის გაფართოების და დივერსიფიკაციის გეგმები • ხალხური რენვის პროდუქციის მზარდი ცნობადობა რაიონის, რეგიონის და ქვეყნის მასშტაბით • ხალხური რენვის და ხის ნაკეთობების საწარმოების კრეატიულობა და ინოვაციური პროდუქტების წარმოება 	<ul style="list-style-type: none"> • კვალიფიციური კადრების ნაკლებობა • ბუღალტრების და საგადასახადო კანონმდებლობის მცოდნე ადამიანების ნაკლებობა • პროფესიულ კოლექტთან თანამშრომლობის არ არსებობა • ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმების დაბალი მოტივაცია - „მუშაობა არავის უნდა“ • შესაბამისი პროფესიული ლიტერატურის არ არსებობა • ბიზნესის მართვის დაბალი უნარები • წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნის სემონურობა • საწარმოო სიმძლავრეების აუთვისებლობა • წარმოების პროცესში უსაფრთხოების სტანდარტების ნაკლებობა • საწარმოო ტექნოლოგიების სერიოზული დაზიანების შემთხვევაში ადგილზე შეკეთების შეუძლებლობა ან სპეციალისტის გამოძახების აუცილებლობა

<ul style="list-style-type: none"> • ელექტრონულად მიღებული შეკვეთების საქართველოს ფოსტის საშუალებით მიწოდების შესაძლებლობა • მეწარმეებს შორის თანამშრომლობის გამოცდილების არსებობა • რაჭა - საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისათვის პრიორიტეტული რეგიონი; კერძო სექტორის განვითარების მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები • დანიის სამეფო აკადემიის და ონის მუნიციპალიტეტის პროექტი - ოდა სახლების, ხე-ტყის გადამუშავების დარგებში პროფესიული უნარების განვითარება • სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის პროგრამებში მონაწილეობის გამოცდილება • ნედლეულის მიმწოდებლებთან სტაბილური და პროდუქტიული თანამშრომლობა (ხალხური რეწვა, კარ-ფანჯრები, სამკერვალოები) • ახალგაზრდული ასამბლეის ფუნქციონირება 	<ul style="list-style-type: none"> • მარკეტინგის დაბალი უნარები • ელექტრონული კომერციის საშუალებით პროდუქციის რეალიზაციის დაბალი მაჩვენებელი • ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა საწარმოების გაფართოებისა და ტექნოლოგიური მოდერნიზაციისათვის • ახალი დანადგარების შესაძენად ფინანსური რესურსების ნაკლებობა • ნედლეულზე ხელმისაწვდომობა და ნედლეულის ფასების ზრდა (განსაკუთრებით ხის დამუშავების დარგში) • ინოვაციების დანერგვის დაბალი უნარები • მარკეტინგის დაბალი უნარები • ექსპორტის არ არსებობა; შესაბამისი სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით სარგებლობის დაბალი უნარები • ბიზნეს ასოციაციების არ არსებობა • პრობლემური საკითხების ადვოკატირების უნარების ნაკლებობა • საწარმოო სივრცეების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა; საწარმოების გაფართოების სირთულე, ძირითადად ფინანსური სახსრების უქონლობის გამო • შესაბამისი დანადგარების არ ქონის გამო გარკვეულ პროდუქციაზე ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილების შეუძლებლობა • შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებების არ ქონა
<p>შესაძლებლობები</p> <ul style="list-style-type: none"> • დანიის არქიტექტურის და დიზაინის სამეფო აკადემიის პროექტი და პროფესიული განვითარების შესაბამისი პროექტები; საერთაშორისო ცოდნის და გამოცდილების გაზიარება ტექნოლოგიების, თანამედროვე ტენდენციების, უნარების და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით; ამავე პროექტის ფარგლებში ექსპორტის შესაძლებლობები • ამბროლაურის პროფესიულ კოლეჯთან თანამშრომლობის ინიცირება და განვითარება 	<p>საფრთხეები</p> <ul style="list-style-type: none"> • კლიმატური საფრთხეები - წყალდიდობა, მიწისძვრა, მენყერსაშიში ზონების არსებობა, ქვათა-ცვენა, ღვარცოფი • გლობალური პანდემია • რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული ეკონომიკური შოკი • ოკუპაციის ხაზთან სიახლოვე • ტყის რესურსის მდგრადი განვითარებისთვის არასათანადოდ გამოყენება

<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს სხვა რეგიონებში პროდუქციის რეალიზაციის ზრდა • თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის გაუმჯობესება და მათი დანერგვა • სატყეო სააგენტოს „საქმიანი ეზოს“ გახსნა ონის მუნიციპალიტეტში • ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბის გამოფენებზე მონაწილეობა • ხე-ტყის პროდუქტების, ხალხური რეწვის და ტექსტილის პროდუქციის მარკეტინგის და ბრენდინგის გაუმჯობესება • Racha with love პლატფორმის საშუალებით ადგილობრივი ნაწარმის ელექტრონულად რეალიზაცია • სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით მიმდინარე პროექტებში ონის მუნიციპალიტეტიდან ბენეფიციარების რაოდენობის გაზრდა და რეგიონში არსებული საფინანსო ინსტიტუტების, დონორი ორგანიზაციების და სახელმწიფო სააგენტოების პროდუქტებით სარგებლობის გაუმჯობესება • ახალი, ინოვაციური პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა ადგილობრივი დარგებისათვის (კვების მრეწველობა, ტურიზმი) და ინტერსექტორალური კავშირების გაუმჯობესება • მოტივაციის მქონე ადამიანების დასაქმების შესაძლებლობა • საწარმოო ნარჩენების გადამუშავება 	<ul style="list-style-type: none"> • დემოგრაფიული პრობლემები, რაჭიდან მოსახლეობის შემდგომი მიგრაცია • შიდა სამუშაო ძალის მსუბუქი მრეწველობის სექტორით დაინტერესების ნაკლებობა • საწარმოო ნედლეულზე ფასების მკვეთრი ზრდა
--	--

7 თანამშრომლობა მსუბუქი მრეწველობის კლასტერში

7.1. კონკურენცია

ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოების უმეტესობა კონკურენტებად ადგილობრივ მცირე საწარმოებს მიიჩნევა. ერთი საწარმოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი პროდუქციის უნიკალურობის გამო კონკურენტად არავინ მიაჩნია. რამდენიმე საწარმო კონკურენტად ასევე იმპორტიორებს განიხილავს.

ხალხური რენჯის საწარმოები კონკურენტებად საქართველოს სხვა რეგიონებში მოქმედ სუვენირების მწარმოებლებს და საჩუქრების მალაზიებს მიიჩნევენ.

გამოკითხული **ტექსტილის საწარმოებიდან**, ერთ-ერთი კონკურენტებად მოიაზრებს ადგილობრივ მცირე საწარმოებს, ხოლო მეორეს, უნიკალური სერვისის და პროდუქტის გამო კონკურენტი არ ყავს არც ონის მუნიციპალიტეტში, არც მეზობელ მუნიციპალიტეტებში.

პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების მწარმოებლები კონკურენტებად ადგილობრივ მცირე საწარმოებს, ასევე ქუთაისში და ტყიბულში მოქმედ საწარმოებს მიიჩნევენ.

7.2. ძირითად კომპანიებს შორის თანამშრომლობა

ხე-ტყის გადამამუშავებელ და ავეჯის საწარმოებს შორის არსებობს თანამშრომლობის გამოცდილება. გადატვირთულობის პერიოდში საწარმოები ერთმანეთს უგზავნიან კლიენტებს, ასევე უთმობენ მათთვის კონკრეტულ მომენტში არასაჭირო ნედლეულს, რასაც კოლეგები შემდგომ უკან უბრუნებენ. საწარმოები ასევე თანამშრომლობენ საწარმოო დანადგარების წყობიდან გამოსვლის შემთხვევებში. ისინი ხაზს უსვამენ შედარებით მსხვილი დაკვეთების ერთობლივად შესრულების სარგებლიანობას და მომავალში ამ მიმართულებით თანამშრომლობის მზადყოფნას. ერთ-ერთი მენარმის აზრით, მომავალში შესაძლოა კოლექტიური ძალისხმევით განხორციელდეს ორთქლის საშრობი დანადგარის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

დარგის კომპანიებს მნიშვნელოვან სირთულეებს უქმნის ხე-ტყის ნედლეულის მოპოვებასთან დაკავშირებული რეგულაციები. რამდენიმე საწარმოს წარმომადგენლის აზრით, სასარგებლო იქნება, თუ ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის გამოყოფილი იქნება 5-10 კუბომეტრი მასალა წარმოებაში გამოსაყენებლად.

ონში მოქმედი **ხალხური რენჯის** საწარმოები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ. ერთ-ერთმა მენარმემ გამოცდილება ადგილობრივ საწარმოში მიიღო და შემდეგ დაიწყო დამოუკიდებელი საქმიანობა, თუმცა ინარჩუნებს პარტნიორულ ურთიერთობას საწარმოსთან და თანამშრომლობს სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას. ორივე საწარმო საჭიროდ მიიჩნევს კლასტერების ჩამოყალიბებას, თუმცა, მათი ბიზნესის მეტწილად ტურიზმზე დამოკიდებულების გამო ტურიზმის კლასტერთან თანამშრომლობა უფრო პერსპექტიულად მიაჩნიათ.

პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების მწარმოებელ გამოკითხულ კომპანიებს შორის თანამშრომლობა არ იკვეთება. ერთ-ერთი საწარმოს წარმომადგენელი სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივას ხედავს იმ შემთხვევაში, თუ საწარმოები ტენდერებზე იმუშავებენ და დადგება შეკვეთების ერთობლივად შესრულების და რესურსების გაერთიანების საჭიროება. მეორე საწარმოს წარმომადგენელი თანამშრომლობის პერსპექტივებს დადებითად აფასებს.

ასევე არ დაფიქსირდა თანამშრომლობა **ტექსტილის საწარმოებს** შორის. ერთ-ერთი საწარმოს წარმომადგენელი თანამშრომლობის პერსპექტივას შეკვეთების ერთობლივად შესრულების მიმართულებით ხედავს, ხოლო მეორე საწარმო შეკვეთების ზრდის წყაროდ სასტუმროების მხრიდან მოთხოვნის ზრდას ასახელებს.

7.3. დამხმარე ინსტიტუტებს და ძირითად კომპანიებს შორის თანამშრომლობა

ონის მუნიციპალიტეტში მოქმედ მსუბუქი მრეწველობის კომპანიებს ძირითადად პოზიტიური თანამშრომლობა აქვთ **საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან**, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო დანადგარების შეძენას და გადაცემას, ტრენინგებს და სხვადასხვა სახის ტექნიკურ დახმარებას. ერთ-ერთი საწარმოს წარმომადგენლის აზრით, უმჯობესი იქნება თუ დონორი ორგანიზაციების მიერ ადმინისტრირებულ მხარდაჭერის პროექტებში არ იქნება თანადაფინანსების მოთხოვნა. ასევე პოზიტიური თანამშრომლობა ფიქსირდება **სააგენტოსთან „ანარმოე საქართველოში“**, მის მიერ ადმინისტრირებული პროგრამების განხორციელების პროცესში, რაც აისახება პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის და შესაბამის ეტაპებზე ტრენინგების და კონსულტაციების უზრუნველყოფის საქმეში. ერთი საწარმოს წარმომადგენელმა დააფიქსირა, რომ საერთოდ არ აქვს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში კერძო სექტორის მხარდამჭერი პროგრამების და ინიციატივების შესახებ. ორი საწარმოს წარმომადგენელმა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო სააგენტოებთან თანამშრომლობა უარყოფითად შეაფასა. ერთ-ერთის აზრით, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ტრენინგები სარგებლის მომტანი არ იყო.

მხარდამჭერ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის კუთხით ცალკე უნდა გამოიყოს დანიის არქიტექტურის და დიზაინის სამეფო აკადემიის, ონის მუნიციპალიტეტის მერიის და საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის არქიტექტურის და დიზაინის სკოლის ერთობლივი პროექტი, რომელსაც **ფონდი „ფეარ თრის ფუნდემენ“** ახორციელებს. პროექტი ძირითადად კონცენტრირებულია ქართული ოდა სახლების შესწავლაზე და მშენებლობაზე, ხეზე მუშაობის სხვადასხვა მიმართულებების განვითარებაზე და აღნიშნულ სფეროებში პროფესიული უნარების და ცოდნის გაღრმავებაზე. პროექტის შედეგად ონის მუნიციპალიტეტში შეიქმნება პროფესიული ჰაბი, სადაც სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტები განხორციელდება. პროექტის ფარგლებში უკვე მიმდინარეობს შესაბამისი სპეციალისტების და ახალგაზრდების გაცვლითი ვიზიტები დანიასა და საქართველოში, კერძოდ ონის მუნიციპალიტეტში. შექმნილი ცოდნის და გამოცდილების ფარგლებში, უახლოეს მომავალში იგეგმება სასწავლო ოდა სახლის აშენება. ამას გარდა, პროექტის ფარგლებში იგეგმება საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება ეკო-ტურიზმის, ეკოლოგიის, ტყის არამერქნული პროდუქტების გამოყენების და ტყის მდგრადი მართვის მიმართულებებით. ონის მუნიციპალიტეტმა პროექტის მიზნებისათვის გამოყო სოფელ სორში მდებარე შენობა, რომლის აღდგენაც ეტაპობრივად მიმდინარეობს. ფონდის წარმომადგენელი დაინტერესდა შესაბამის კლასტერებთან თანამშრომლობით.

გამოკითხული კომპანიების თანამშრომლობა რეგიონში მოქმედ **საფინანსო ინსტიტუტებთან** ფაქტობრივად არ არსებობს. რეგიონში მოქმედ ერთ-ერთ საფინანსო ინსტიტუტში საკრედიტო განყოფილება ერთი წლის შეიქმნა და არსებული პროდუქტები მეტწილად მცირე მოცულობის სესხებზეა გათვლილი. აღნიშნული ინსტიტუტის პროდუქტებით უფრო მეტად ტურიზმის, სოფლის მეურნეობის (მესაქონლეობა, მემცენარეობა, მევენახეობა) საწარმოები სარგებლობენ. საფინანსო ინსტიტუტი ჩართულია კერძო სექტორის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში. მსუბუქი მრეწველობის სექტორისათვის შესაძლოა საინტერესო იყოს სტარტაპების მხარდაჭერის პროდუქტი, სადაც საფინანსო ინსტიტუტის სპეციალურ საიტზე შესაძლებელია ბიზნეს იდეის დაფიქსირება და მოწონების და შესაბამისი ეტაპების გავლის შემდეგ დაფინანსების მოპოვება. აღნიშნული პროდუქტით მოსარგებლე სტარტაპებს ეძლევათ საშუალებათა პერიოდი და კრედიტის გადახდას შემოსავლების მიღების შემდეგ იწყებენ. ინფორმაცია სტარტაპების მხარდაჭერის პროდუქტის შესახებ მოსახლეობამდე კარგად არ არის მიტანილი.

საფინანსო ინსტიტუტს შეუძლია ბენეფიციარებს შეთავაზოს:

- ♦ გადახდის მოქნილი გრაფიკი
- ♦ „ქეშბექ“ პროდუქტი, რომლის ფარგლებშიც პროექტის განხორციელების შემდეგ მსესხებელს თანხის ნაწილი უკან უბრუნდება

- ◆ სესხის უზრუნველყოფაზე გარკვეული რისკის ბანკის მიერ აღება
- ◆ „მწვანე ენერჯის“ გრძელვადიანი სესხი, რომელიც საწარმოებს როგორც ხარჯების შემცირების, ასევე შემოსავლების მიღების საშუალებას მიცემს

ონის მუნიციპალიტეტის მსუბუქი მრეწველობის კლასტერის საწარმოებსა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდებარე **პროფესიულ კოლეჯ „ერქვანს“** შორის თანამშრომლობა ფაქტობრივად არ არსებობს. კოლეჯის მიერ შეთავაზებული გრძელვადიანი პროგრამებიდან მსუბუქი მრეწველობის სექტორისათვის შესაძლოა საინტერესო იყოს ბულალტრული აღრიცხვა, საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერა და იატაკისა და ფილის სამუშაოები. მოკლევადიანი პროგრამებიდან მსუბუქი მრეწველობის კომპანიებს შესაძლოა დააინტერესოს კომპიუტერის მოხმარება-ოპერირების, კომპიუტერული საბულალტრო პროგრამის მოხმარება-ოპერირების კურსები.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ასევე კერძო კომპანიებთან, როგორცაა ონის მუნიციპალიტეტში მდებარე „ბლაუნშტაინი“ და ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდებარე „გეოფლაური“, შპს „ბარაკონი“, „ინის მარანი“.

კოლეჯი გეგმავს ინფრასტრუქტურის გაფართოებას: ძველი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის 2 ჰექტარ ტერიტორიაზე დაგეგმილია საერთო საცხოვრებლის და სახელოსნოების აშენება. აღნიშნული პროექტის კონცეფცია მომზადებულია, მიმდინარეობს პროექტირება და სრულად სახელმწიფოს მხარდაჭერით განხორციელდება.

კოლეჯი განიხილავს ონის მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებულ კლასტერებთან თანამშრომლობას და ასოცირებულ წევრობას. მისი წარმომადგენლის აზრით, კომპანიების გაერთიანებასთან თანამშრომლობა უფრო ხელსაყრელი და რენტაბელური იქნება, რადგან ერთობლივი მოთხოვნის და მინიმუმ 5 ან 6 ადამიანის გადამზადების საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება სასწავლო პროგრამებში ახალი პროფესიების დამატება. ასევე, კლასტერების არსებობა კოლეჯს გაუიოლებს შესაბამის სექტორებში კვლევების ჩატარებას და სამომავლო საქმიანობის დაგეგმვას. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯს ექნება ინფორმაცია კლასტერების 3 წლიანი განვითარების გეგმებზე, ის უპასუხებს მათ მოთხოვნებს პროფესიული განვითარების მიმართულებით. ამასთანავე, კოლეჯს აქვს პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის თანამდებობა, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიებთან თანამშრომლობას, მათი მოთხოვნების კვლევას და შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებას. სწორედ ამ თანამდებობაზე დასაქმებულმა ადამიანმა შეიძლება ითანამშრომლოს მომავალში ონის მუნიციპალიტეტში შექმნილ ბიზნეს კლასტერებთან.

პროფესიული განათლების მიმართულებით, რაჭის რეგიონში **გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)** ახორციელებს ევროკავშირის დაფინანსებულ პროფესიული განათლების პროექტს. მის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ზოგადსაგანმათლებლო სკოლებში სრულყოფილი პროფესიული განათლების დანერგვა, რაც გულისხმობს შერჩეულ სკოლებში ფორმალური პროფესიული განათლების დანერგვას და შესაბამის ავტორიზაციას. პროექტის სხვა მიმართულებები მოიცავს ახალგაზრდებისათვის სპეციალური პროგრამების შემუშავებას, მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ გაძლიერებას, ბავშვებისათვის, ახალგაზრდებისათვის და მშობლებისათვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისების ჩამოყალიბებას და ახალგაზრდებში სამეწარმეო განათლების და სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერას. მიმდინარე ეტაპზე უცნობია, თუ რომელი კომპონენტები განხორციელდება ონის მუნიციპალიტეტში. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში ჩატარებული ბაზრის რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგებით გამოკვეთილი პრიორიტეტული სექტორები თანხვედრაშია ონის ბიზნეს კლასტერების და ინვესტიციების მხარდაჭერის პროექტის მიერ პრიორიტეტიზირებულ სექტორებთან (ტურიზმი, მრეწველობა, მშენებლობა, კვების მრეწველობა). აღნიშნულ სექტორებთან ერთად, UNDP-ის პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით პრიორიტეტად გამოიკვეთა ენერჯეტიკის სექტორი.

ხე-ტყის ნედლეულის მიწოდების სფეროში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **ეროვნული სატყეო სააგენტო**, რომე-

ლიც უზრუნველყოფს ხის მოჭრას, დასაწყობებას და აუქციონის საშუალებით რეალიზაციას. არსებული წესების მიხედვით, ხე-ტყე უნდა დამზადდეს მოცემულ ვადაში. აუქციონზე რეალიზაციის ფასებს ადგენს ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ხე-ტყის ნედლეულის ხარისხის მიხედვით. საწარმოების განცხადებით, მიმდინარე ეტაპზე ბაზარზე ფიქსირდება ხე-ტყის ნედლეულის დეფიციტი და მისი გაძვირება. ახლო მომავალში, ონის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია საქმიანი ეზოს გახსნა, სადაც განთავსდება სამასალე ხე-ტყე, რაც მენარმეებს საშუალებას მიცემს ადგილზე ნახონ და შეაფასონ მისი ხარისხი და გადაწყვიტონ, სურთ თუ არა ხე-ტყის მასალის აუქციონზე შექენა.

ონის მუნიციპალიტეტში მოქმედი „**რაჭის ახალგაზრდული ასამბლეა**“ სხვადასხვა პროექტების ფარგლებში ახორციელებს საგანმანათლებლო აქტივობებს მენარმეობის, კომუნიკაციების, გარემოს დაცვის და ნარჩენების გადამუშავების და სამოქალაქო ჩართულობის მიმართულებით. ამ ეტაპზე ასამბლეას მსუბუქი მრეწველობის სექტორთან თანამშრომლობა არ აქვს, თუმცა facebook-ის გვერდზე წარმოაჩენს ადგილობრივ ნაწარმს, მათ შორის ხის ნაკეთობების ნიმუშებს.

ონის მუნიციპალიტეტში მოქმედი მსუბუქი მრეწველობის კომპანიები ბიზნეს ასოციაციებში გაერთიანებული არ არიან. მხოლოდ ერთი საწარმო არის ტრადიციული რეწვის ასოციაციის წევრი.

7.4. კოოპერაციის მატრიცა


მატრიცა	ძირითადი საწარმოები	ნედლეულის მიმწოდებლები	სახელმწიფო სააგენტოები	საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები	პროფესიული კოლეჯი ერეკანი	ფეარ თრის ფოუნდეიშნ	საფინანსო ინსტიტუტები	რაჭის ახალგაზრდული ასამბლეა	საჯარო ინსტიტუტები (სატყეო სააგენტო)	ჯამი
ძირითადი საწარმოები	X	3	3	3	0	2	0	1	1	13
ნედლეულის მიმწოდებლები	3	X	3	1	0	1	0	0	2	10
სახელმწიფო სააგენტოები	3	3	X	2	1	1	4	2	0	13
საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები	3	1	2	X	1	2	0	4	2	15
პროფესიული კოლეჯი ერეკანი	0	0	1	1	X	2	0	1	0	5
ფეარ თრის ფოუნდეიშნ	2	1	1	2	2	X	0	0	2	10
საფინანსო ინსტიტუტები	0	0	4	0	0	0	X	1	0	5
რაჭის ახალგაზრდული ასამბლეა	1	0	2	4	1	0	1	X	3	12
საჯარო ინსტიტუტები (სატყეო სააგენტო)	1	2	0	2	0	2	0	3	X	10
ჯამი	13	10	13	15	5	10	5	12	10	X

კოოპერაციის მატრიცის მიხედვით, ყველაზე უფრო ინტენსიური თანამშრომლობა კლასტერის წევრებსა და მხარდამჭერ ინსტიტუტებთან აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ხოლო ყველაზე ნაკლები პროფესიულ კოლეჯ „ერქვანს“ და საფინანსო ინსტიტუტებს.

უფრო კონკრეტულად, კლასტერის წევრების და მხარდამჭერი ინსტიტუტების თანამშრომლობა აღწერილია ქვემოთ:

- ◆ კლასტერის კომპანიების თანამშრომლობა ნედლეულის მიმწოდებლებთან მთლიანობაში დამაკმაყოფილებელია.
- ◆ კლასტერის კომპანიების თანამშრომლობა კერძო სექტორის მხარდამჭერ ინსტიტუტებთან დამაკმაყოფილებელია. გამოკითხულ კომპანიებს შორის არიან შესაბამისი მხარდაჭერის პროგრამების ბენეფიციარები, რომლებმაც წინასასაკონკურსო პერიოდში, განაცხადის წარდგენის და შემდგომ ეტაპებზე მიიღეს შესაბამისი ინფორმაცია და მხარდაჭერა.
- ◆ კლასტერის კომპანიების და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების თანამშრომლობა დამაკმაყოფილებელია. გამოკითხულ კომპანიებს შორის რამდენიმეს მიღებული აქვს საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა ტექნოლოგიური გადაიარაღების, ტრენინგების და ტექნიკური დახმარების მიმართულებით.
- ◆ კლასტერის კომპანიების თანამშრომლობა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდებარე პროფესიულ კოლეჯ „ერქვანთან“ არ არსებობს. აღნიშნული ერთის მხრივ განპირობებულია კოლეჯის სასწავლო პროგრამებში კლასტერისათვის საჭირო მოდულების არ არსებობით, ხოლო მეორეს მხრივ კომპანიების მხრიდან კოლეჯთან თანამშრომლობის ინიციატივების ნაკლებობით.
- ◆ კლასტერის კომპანიების თანამშრომლობა დანიის არქიტექტურისა და დიზაინის სამეფო აკადემიის პროექტის განმახორციელებელ ფონდთან - „ფეარ თრის ფოუნდეიშნ“ დაბალ დონეზეა, ვინაიდან პროექტი განხორციელების საწყის სტადიაზეა.
- ◆ კლასტერის კომპანიების თანამშრომლობა საფინანსო ინსტიტუტებთან არ არსებობს. აღნიშნული ერთის მხრივ განპირობებულია საფინანსო პროდუქტების შესახებ კერძო სექტორში ინფორმაციის ნაკლებობით, ხოლო მეორეს მხრივ კომპანიების მცდელობებით დაფინანსება მოიპოვონ მხოლოდ სახელმწიფო პროგრამების ან დონორი ორგანიზაციების პროექტების საშუალებით.
- ◆ კლასტერის კომპანიების თანამშრომლობა რაჭის ახალგაზრდულ ასამბლეასთან დაბალ დონეზეა.
- ◆ კლასტერის კომპანიების თანამშრომლობა საჯარო ინსტიტუტებთან, განსაკუთრებით ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან სუსტია. აღნიშნულს ძირითადად განაპირობებს საწარმოების სუსტი უნარები და კოლექტიური ძალისხმევის ნაკლებობა პრობლემური საკითხების ადვოკატირებისათვის.

7.5. კლასტერის რუკა



8 ბარიერების და შესაძლებლობების ანალიზი

8.1. გამოწვევები

ონის მსუბუქი მრეწველობის სექტორის კომპანიები ოპერირების პროცესში აწყდებიან შემდეგ გამოწვევებს:

- **კვალიფიციურ კადრებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა** – მუნიციპალიტეტში ერთის მხრივ კვალიფიციური კადრების დეფიციტია, ხოლო მეორეს მხრივ ადგილობრივ მოსახლეობაში ჭირს ისეთი ადამიანების პოვნა, ვისაც აინტერესებს ხელობის სწავლა და მუშაობა. აღნიშნული ვითარება მნიშვნელოვნად აფერხებს საწარმოების ზრდას და განვითარებას. აღსანიშნავია, რომ მსუბუქი მრეწველობის რამდენიმე საწარმო მზადაა სამუშაო ადგილზე შეასწავლოს ხელობა მსურველ ახალგაზრდებს.
- **პროფესიული განათლების კოლექთან თანამშრომლობის არ არსებობა** – კადრების დეფიციტის პირობებში გამოუყენებელია რეგიონში პროფესიული განათლების დაწესებულების არსებობის და მისი რესურსების ათვისების შესაძლებლობა. სამომავლოდ, ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობის ინიცირებას და განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება როგორც ბიზნეს კლასტერების, ასევე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისათვის.
- **ხე-ტყის ნედლეულზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა** – ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის კომპანიების წარმომადგენლების აზრით, რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს ხე-ტყის მოჭრის, დასაწყობების და აუქციონზე რეალიზაციის პროცესის ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ორგანიზებას, იწვევს ნედლეულის დეფიციტს და მასზე ფასების ზრდას. სექტორის ზრდის და კონკურენტუნარიანობისათვის საჭიროა აღნიშნული პრობლემის მოგვარება ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან დიალოგის ინიცირების და ადვოკატირების გზით.
- **ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული წვდომა** – მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს არ აქვთ საკუთარი ფინანსური რესურსები საწარმოების გაფართოების, ტექნოლოგიების და დანადგარების განახლების დასაფინანსებლად. ისინი ნაკლებად იცნობენ საფინანსო ინსტიტუტების პროდუქტებსა და შეთავაზებებს და ძირითადად ორიენტირებული არიან სახელმწიფო პროგრამებიდან და დონორი ორგანიზაციების პროექტიებიდან ფინანსური მხარდაჭერის მიღებაზე. ამასთან ერთად, საწარმოებს არ აქვთ ბიზნეს გეგმების შემუშავების საკმარისი უნარები.
- **საწარმოო ტექნოლოგიებზე და დანადგარებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა** – აღნიშნულ გამოწვევას დიდწილად ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა განაპირობებს. ამასთანავე, საწარმოო ტექნოლოგიების, მათი ტრანსფერის, ადაპტაციის, დანერგვის და შესაბამისი სპეციალისტების მომზადების არსებობის შესახებ ინფორმაცია მწირია.
- **პროდუქციის რეალიზაციისათვის ელექტრონული კომერციის არსების ნაკლებად გამოყენება** – მიუხედავად იმისა, რომ ხალხური რენვის საწარმოები შედარებით აქტიურად იყენებენ ციფრულ საშუალებებს პროდუქციის რეკლამირებისა და რეალიზაციისათვის, აღნიშნული მიმართულება ჯერ-ჯერობით სუსტად არის ათვისებული და მისი პოტენციალის სრულად რეალიზაცია მნიშვნელოვანი იქნება საწარმოების სამომავლო განვითარებისათვის.

- **საწარმოების მართვის უნარების ნაკლებობა** – მსუბუქი მრეწველობის საწარმოების მცირე ზომის გამო, დამფუძნებლებს უწევთ მართვის სხვადასხვა ფუნქციების შეთავსება და განხორციელება, რაც ხელს უშლის საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა მიმართულებების განვითარებას.
- **სემონურობის ფაქტორი** – მოთხოვნა ონის მუნიციპალიტეტში წარმოებულ მსუბუქი მრეწველობის ნაწარმზე ძირითადად სემონურია და უკავშირდება მუნიციპალიტეტში დამსვენებლების და ტურისტების რაოდენობის ზრდას ბაფხულის მეორე ნახევარში. შესაბამისად, საჭიროა რეალიზაციის ბაზრების დივერსიფიკაცია საქართველოს მასშტაბით, შესაბამის გამოფენებზე მონაწილეობა და ელექტრონული კომერციის არხების უფრო აქტიურად გამოყენება.

8.2. კლასტერში ერთობლივი ჟამდეგების და თანამშრომლობის პოტენციალი

ონის მუნიციპალიტეტის მსუბუქი მრეწველობის დარგის გამოკითხული კომპანიების 79% თანამშრომლობის შესაძლებლობებს შემდეგი მიმართულებებით ხედავს:

- ტექნოლოგიების მოძიება და დანერგვა
- თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება
- სექტორისათვის რელევანტური სამუშაო ძალის მოძიება

გამოკითხული კომპანიების 71% მიიჩნევს, რომ თანამშრომლობის პოტენციალი არის ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების მოძიების და ფინანსების და ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით. კომპანიათა 64%-ის აზრით, თანამშრომლობა სასარგებლო იქნება გაყიდვების და პრობლემური საკითხების ადვოკატირების მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ საწარმოო ნედლეულის ერთობლივი შესყიდვის სფეროში თანამშრომლობა რელევანტურია გამოკითხული საწარმოების მხოლოდ 50%-თვის. თანამშრომლობის ნაკლები პოტენციალი გამოიკვეთა პროდუქციის ხარისხის ამაღლების (43%), ლოგისტიკის (43%), მერკეტინგის და ბრენდინგის (43%), დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის წარმოების (43%) და ექსპორტის (29%) მიმართულებით.

თანამშრომლობის სხვა მიმართულებებთან დაკავშირებით საწარმოებმა დააფიქსირეს შედარებით მსხვილი შეკვეთების ერთობლივად აღების და სამუშაოების ერთობლივად შესრულების, ასევე საწარმოო ტექნოლოგიების საერთო სარგებლობისათვის შესყიდვის საჭიროებები.

თანამშრომლობის სფერო	კი	არა
ტექნოლოგიების მოძიება და დანერგვა	79%	21%
თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	79%	21%
სექტორისთვის რელევანტური სამუშაო ძალის განვითარება	79%	21%
ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების მოძიება და კომუნიკაცია	71%	29%
ფინანსების/ინვესტიციის მოზიდვა	71%	29%
გაყიდვები	64%	36%
პრობლემური საკითხების ადვოკატირება	64%	36%
საწარმოო ნედლეულის შესყიდვა	50%	50%
პროდუქციის ხარისხის ამაღლება	43%	57%
ლოგისტიკა	43%	57%
მარკეტინგი და ბრენდინგი	43%	57%
დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის წარმოება	43%	57%
ექსპორტი	29%	71%

წყარო: კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

ამასთანავე, კლასტერის საწარმოებს აქვთ მხარდამჭერ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის განვითარების და შესაბამისი სარგებლის მიღების შესაძლებლობა. მიმდინარე ეტაპზე, ინფორმაციის გაცვლის მიზნით საჭიროა გაცნობითი შეხვედრების გამართვა ისეთ ინსტიტუტებთან, რომლებთანაც კავშირები ან არ არსებობს (საფინანსო და პროფესიული განათლების ინსტიტუტები) ან სუსტად არის განვითარებული (რაჭის ახალგაზრდული ასამბლეა, ეროვნული სატყეო სააგენტო).

8.3. კლასტერის ხედვა

ონის მუნიციპალიტეტის მსუბუქი მრეწველობის კლასტერის საშუალოვადიანი ხედვა შემდეგია: **მსუბუქი მრეწველობის კლასტერის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება ტექნოლოგიური მოდერნიზაციის, სამუშაო ძალის უნარების გაუმჯობესების და ინოვაციების დანერგვის გზით.**

8.4. კლასტერის მიზნები

ონის მუნიციპალიტეტის მსუბუქი მრეწველობის კლასტერის მიზნები საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერიოდისათვის შემდეგია:

- საწარმოო ტექნოლოგიების და დანადგარების განახლება
- სამუშაო ძალის უნარების ამაღლება
- ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება
- საწარმოო ნედლეულზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება
- ინტერსექტორული კავშირების გაუმჯობესება

⁵ ჩატარებული ინტერვიუების შედეგად 14-მა საწარმომ დააფიქსირა შეხედულება თანამშრომლობის პოტენციური სფეროების შესახებ

ცხრილი 10. ონის მუნიციპალიტეტის მსუბუქი მრეწველობის კლასტერის მიზნები, აქტივობები ინდიკატორები

მიზანი	აქტივობა	ინდიკატორი	შედეგი
<p>საწარმოო ტექნოლოგიების და დანადგარების განახლება</p>	<ul style="list-style-type: none"> • საწარმოო ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის წყაროების იდენტიფიცირება და კლასტერის წევრებისათვის მისი მუდვი განახლების უზრუნველყოფა • ტექნოლოგიების განახლებისათვის სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერი პროგრამების, პირობების და არსებული გამოცდილების შესახებ დეტალური ინფორმაციის მომზადება და კლასტერის წევრებისათვის გაცნობა • სახელმწიფო სააგენტოების და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრების გამართვა 	<ul style="list-style-type: none"> • საწარმოო ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის მიღების მინიმუმ 3 წყაროს იდენტიფიცირება • თანამედროვე საწარმოო ტექნოლოგიების შესახებ კლასტერის წევრებისათვის კატალოგის მომზადება და პერიოდული განახლების უზრუნველყოფა • სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების პროექტების შესახებ მომზადებული საინფორმაციო მასალა • ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების და მათზე დამსწრე კლასტერის წევრების რაოდენობა 	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე საწარმოო ტექნოლოგიების შესახებ კლასტერის წევრების ინფორმირებულობის გაუმჯობესება • საწარმოო ტექნოლოგიების შესახებ მომზადებული კატალოგი და მისი განახლების პერიოდულობა • სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის პირობების და კრიტერიუმების შესახებ კლასტერის წევრების ინფორმირებულობის გაუმჯობესება • სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების პროექტების ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობა კლასტერის წევრი კომპანიებიდან
<p>სამუშაო ძალის უნარების გაუმჯობესება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ფონდ „ფეარ თრის ფოუნდეიშნ“ მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში თანამშრომლობის პრიორიტეტებზე შეთანხმება • პროფესიულ კოლეჯ „ერქვანთან“ სამუშაო შეხვედრების გამართვა და თანამშრომლობის მიმართულებებზე შეთანხმება • პროფესიული განათლების სხვა პროექტების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და კლასტერისათვის საინტერესო მიმართულებების გამოკვეთა • კომპანიების დამფუძნებლების და მენეჯერების მართვის უნარების გაუმჯობესება 	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიულ კოლეჯ ერქვანთან გამართული შეხვედრების და თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებების რაოდენობა • ფონდ „ფეარ თრის ფოუნდეიშნ“-თან გამართული შეხვედრა და თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთა • პროფესიული განათლების სხვა პროექტების ამსახველი საინფორმაციო მასალა • კლასტერის თანამშრომლობის ინიცირება პროფესიული განათლების სხვა პროგრამებთან • მართვის საკითხებზე ორგანიზებული სხვადასხვა ტრენინგების რაოდენობა • პროფესიული განათლების პროგრამების საშუალებით გადამზადებული კლასტერის წევრი კომპანიების თანამშრომლობის რაოდენობა 	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიულ კოლეჯ ერქვანთან მჭიდრო და სტაბილური თანამშრომლობა • ფონდ „ფეარ თრის ფოუნდეიშნ“-თან მჭიდრო და სტაბილური თანამშრომლობა • პროფესიული კოლეჯ „ერქვანის“ და ფონდ „ფეარ თრის ფოუნდეიშნ“-ის კლასტერის ასოცირებული წევრობა • კლასტერის წევრი კომპანიების თანამშრომლების პროფესიული უნარების გაუმჯობესება • კლასტერის წევრი კომპანიების დამფუძნებლების და მენეჯერების მართვის უნარების გაუმჯობესება

<p>ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება</p>	<ul style="list-style-type: none"> • რეგიონის კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობით კლასტერის წევრებისათვის საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება • საქართველოში მოქმედ სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით კლასტერის წევრებისათვის საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება • სახელმწიფო, კერძო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერი პროგრამების, პირობების და არსებული გამოცდილების შესახებ დეტალური ინფორმაციის მომზადება და კლასტერის წევრებისათვის გაცნობა 	<ul style="list-style-type: none"> • კომერციულ ბანკებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა • სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა • კლასტერის წევრი კომპანიების რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს ბაზარზე არსებული ფინანსური პროდუქტებით • სახელმწიფო, კერძო და დონორი ორგანიზაციების პროექტების შესახებ მომზადებული საინფორმაციო მასალა 	<ul style="list-style-type: none"> • კლასტერის წევრი კომპანიების ფინანსებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა
<p>საწარმოო ნედლეულზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის საწარმოების ნედლეულზე ხელმისაწვდომობის პრობლემების შესახებ დეტალური ინფორმაციის მომზადება • ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან და მის რეგიონულ/ადგილობრივ სამსახურთან დიალოგის ინიცირება და შეხვედრების გამართვა • თანამშრომლობის შედეგად არსებული რეგულაციების ფარგლებში ნედლეულზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზებზე შეთანხმება და მისი შესრულება 	<ul style="list-style-type: none"> • კლასტერის კომპანიებთან თანამშრომლობით მომზადებული ინფორმაცია ნედლეულზე ხელმისაწვდომობის პრობლემების შესახებ • ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან და მის რეგიონულ/ადგილობრივ სამსახურთან გამართული შეხვედრების რაოდენობა • ნედლეულის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე მიღწეული შეთანხმება • შესრულებული შეთანხმება 	<ul style="list-style-type: none"> • ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის კომპანიების გაუმჯობესებული წვდომა ნედლეულზე • წარმოებული პროდუქციის რაოდენობის და რეალიზაციის ზრდა

<p>ინტერსექტორული კავშირების გაუმჯობესება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ტურიზმის და კვების მრეწველობის ინდუსტრიების მოთხოვნის შესწავლა მსუბუქი მრეწველობის ნაწარმზე • გამოვლენილი მოთხოვნის მიხედვით ტურიზმის და კვების მრეწველობის ინდუსტრიებისათვის მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის დამზადება • თანამშრომლობის შედეგად მსუბუქი მრეწველობის საწარმოების მიერ ახალი, ინოვაციური პროდუქტების წარმოების დანერგვა 	<ul style="list-style-type: none"> • ანალიზის შედეგად გამოვლენილი ტურიზმის და კვების მრეწველობის სექტორების მიერ მოთხოვნილი პროდუქციის რაოდენობა • მსუბუქი მრეწველობის სექტორის საწარმოების მიერ მიღებული შეკვეთების რაოდენობა • მსუბუქი მრეწველობის საწარმოების მიერ წარმოებული ინოვაციური პროდუქტების რაოდენობა 	<ul style="list-style-type: none"> • ინტერსექტორული კავშირების გაუმჯობესების მუნიციპალიტეტში • ინოვაციების ხელშეწყობა • პროდუქციის რეალიზაციის ბრდა
--	---	--	--



Research